აა.ქ. ძეძარცხენე ხოც.-ფედ. ხარეგ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

ნელიწადი მესამე

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახალის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ერთგან. ტექსტ.
4 „ 15 „
საგლოვიანოს განცხადებას
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 538 კარასკევი, აგვისტოს 3 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## თანახმად ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა,
## ევალება საბჭოს ყველა წევრებს

**10 აგვისტომდე აუცილებლად გამოცხადდნენ აღმასკომის სამდივნოში და ჩაეწერონ რომელიმე სექციაში სამუშაოდ.**

**სექციაში სამუშაოდ ჩაწერა სავალდებულოა.**

4—4 **პრეზიდიუმი.**


## გაზეთი „ტრიბუნა“

**აგვისტოს 1-დან ეღირება:**

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 1.500.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 2.500.000 „ |
| ცალკე ნომერი | 100.000 „ |


## დამონებულთა მფლობელი

დამონებულ ხალხთა უმთავრესი მფლობელი დღეს ინგლისის ბურჟუაზიაა. შედარებით პატარა კუნძული, რომელიც კაპიტალისტური მეურნეობის დასაწყისს ჯერ კიდევ ჩამორჩენილი გლეხური ქვეყანა იყო, მთელი რიგი ფაქტორების გამო მსოფლიოს ჰეგემონად იქცა. მან კოლონიალურ პოლიტიკის სფეროში გადააჭარბა ყველა მეტროპოლიებს და მრავალი მათგანი გამოდენა, როგორც აზიის, ისე ამერიკისა და აფრიკის მიდამოებიდან.

რამდენიმე ათეულ მილიონიანი ერი, რამდენიმე ასეული მილიონი ხალხების ბატონად იქცა.

დამონებულ ერთა გაქურდვის ნიადაგზე მან აღმართა მძლავრი საფუძველი ნაციონალური მეურნეობისათვის. იმპერიალიზმის შედეგების მონაწილეთ გახადა თითქმის ყველა წრე საზოგადოებისა და ამით შექმნა ბურჟუაზიული და იმპერიალისტური სულისკვეთება. სოციალისტურ და მუშათა მოძრაობას აქ თავისებური, „ინგლისური“ ელფერი დაედო, რის დამახასიათებელია ვაჭრული ფსიქოლოგია, რეფორმისტული ტენდენცია, ბურჟუაზიული შემეცნება.

დამონებულთა ბატონმა არა ერთხელ იგემა დამონებულთა მიერ წინააღმდეგობა. ამერიკის რევოლიუცია პასუხი იყო იმ თავხედურ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ინგლისელები აწარმოებდენ ამერიკაში და საშუალებას სპობდენ ქვეყნის განვითარებისათვის. მათ სურდათ მონოპოლურ მდგომარეობის შენარჩუნება და ამერიკის შენახვა. ერთი მხრით გამსაღებელ ბაზრად, ხოლო მეორე მხრივ ბუნებრივი სიმდიდრის საექსპლოატაციოთ. ცხადია ქვეყნის ბუნებრივ განვითარებას ვერ შესცვლიდა იმპერიალისტთა სურვილები და დღეს ამერიკა დებიტორი კი აღარ არის და კოლონია დიდი ინგლისის, არამედ დიდი ინგლისია ამერიკის დებიტორი და მისი მრეწველობის კონკურენციის ქვეშ მდგომი.

ამ უკანასკნელ ხანებში თემთა პალატაში კოლონიალურ ბიუჯეტის განხილვის დროს გამოირკვა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონია ინდოეთის მცხოვრებს უარი ეთქვას უფლებრივ გათანასწორებაზე.

როგორც დეპეშებმა გვაუწყა დიდი „კრატიკით“ გამოვიდა მუშათა პარტია ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს მოუწოდა ინდოელებს მშვიდობიანობისა და წესიერებისაკენ, რადგან მეტის მოპოვება დღეს შეუძლებელიაო.

მუშათა პარტიის „მუშური“ პოლიტიკას კარგად ვიცნობთ და საკვირველიც იქნებოდა მისგან სხვა პოზიციის დაჭერა. ამ პარტიამ იცის „ინგლისური მეთოდები“ ბრძოლისა, დეკლარაცია, კამათი, დისპუტი და ბოლოს თანხმომა, შერიგება, მიღება მიუღებელის.

მუშათა პარტიის ასეთი პოზიცია და მთავრობის გადაწყვეტილება თავის თავად თუ რეგრესიული, უკულტურო და უაღრესად იმპერიალისტურია, იგი ამავე დროს მიზეზიც იქნება დამონებულ ერთა თანაგრძნობის გაძლიერებისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისადმი.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ამ რამდენიმე წლის წინეთ კერზონს, რომელიც ჯალათად იყო მივლინებული ინდოეთში, მოუხდა იქიდან გამოქცევა ხალხის მღელვარების გამო. შორს არ არის ის დროც როდესაც კერზონები ინგლისიდანაც სადღაც უნდა გაიქცენ დამონებულთა სამფლობელოს წინააღმდეგ ამხედრებული მუშათა კლასის შიშით.

პოლიტიკურად დილეტანტს ან ფანტაზიორს შეუძლია იმის თქმა, რომ ხვალ მოხდება ამ დამონებულთა მფლობელის დამსხვრევა, მაგრამ შეგნებულ რეაქციონერს ან უვიც პოლიტიკოს შეუძლია იმ დებულების წამოყენება, რომ არ იყოს ხელსახები ამ უდიდესი მეტროპოლიის დეგრადაციის ფაქტორები.

დეე კერზონებმა და ბალდვინგებმა ევროპიული ფუფუნებით მიეცენ განცხრომას დამონებულთა პოლიტიკურ და ეკონომიური ჩაგვრით, თვით ეს იქნება საწინდარი ამბოხებისა, რომელიც ღრმა სოციალური კონფლიქტების ნანგრევზედ დაანარცხებს მათ და არავის მისცემს უფლებას ილაპარაკონ ვისმეს არათანასწორ უფლებიანობის შესახებ.

## ბალტიკ-ლეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

### ს. ს. რ. პ. ცნოგეგის გარეშემო

**ამხ. რაკოვსკის მოხსენება.**

**მოსკოვი.** 31 ივლისი. რუსეთის დეპეშათა საგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. რაკოვსკიმ ლონდონში გამგზავრების წინ სთქვა: „ჩემი დანიშნა ინგლისში არის საბჭოთა მთავრობის სურვილი დაამყაროს უფრო მტკიცე სამეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობა ინგლისთან. რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის ლიკვიდაცია იძლევა მომავალ მოლაპარაკების შესაძლებლობას.

ლოზანას კონფერენციაზე სრუტეების საკითხში მიღებულ შეთანხმებაზე ხელის მოწერის სურვილით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გვინდა ყველა ქვეყნებთან და კერძოთ ინგლისთან მშვიდობიანი ცხოვრება: მივდივართ რა დათმობაზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს ნაბიჯებს დააფასებს ინგლისის მთავრობა და აგრეთვე ინგლისის ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია ორივე ქვეყნის შორის ურთიერთობის აღდგენით.

**სპარსეთი დაინტერესებულია რუსეთთან ვაჭრობით.**

**მოსკოვი.** 31 ივლისი. სპარსეთიდან იტყობინებიან, რომ სპარსელი ვაჭრები დიდ ინტერესს იჩენენ რუსეთ-აღმოსავლეთის პალატის დელეგაციისადმი ვაჭრები მოუთმენლად ელიან რუსეთის საქონლის ნიმუშების მიღებას და დაინტერესებული არიან მანუფაქტურით, ჭურჭლით, რეზინის ნაწარმოებით და შაქრით.

**აღმოსავლეთის მშვიდობიანობის დარღვევა შეუძლია მხოლოდ დასავლეთს.**

**მოსკოვი** 31 ივლისი. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ლატვიის პრეზიდენტმა მეროვიჩმა განაცხადა, რომ ლატვიის დამოკიდებულება რუსეთთან ძალიან გაუმჯობესდა. ლატვია დიდი ენერგიით სცდილობს ტრანზიტის აღდგენას.

ტყუილად ფიქრობენ, რომ მშვიდობიანობას აღმოსავლეთიდან მოელის საფრთხე. ლატვიას და რუსეთს არავითარი საბუთი არ აქვთ ერთმანეთს თავს დაესხან. მშვიდობიანობას აღმოსავლეთში დაარღვევს მხოლოდ დასავლეთი.

**გერმანიის ამბები.**

**მღელვარება გრძელდება.**

**ბერლინი.** 30 ივლისი. კვირას ბერლინში გაიმართა 17 მრავალრიცხოვანი კრება. ქუჩებში მანიფესტაციების გამართვის ცდას არ გამოუწვევია სერიოზული შეტაკება პოლიციასთან. დემონსტრაციები გაიმართა კელნში, კილში და ჰგენში. კელნში მოხდა შეტაკება პოლიციასთან. მიუნხენში კომპარტიამ უარი განაცხადა დემონსტრაციაზე. რეიხენჰეიმში მოხდა შეტაკება სოციალ-დემოკრატებსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის, რომელნიც ცდილობდენ პროფკავშირების შენობის დარბევას. სასიკვდილოთ იქმნა დაჭრილი ერთი მუშა.

**ბერლინი.** 30 ივლისი. კუნოს მთავრობით უკმაყოფილება ძლიერდება. საპარლამენტო წრეებში გაცხოველებულად იხილავენ საკითხს კოალიციონურ მთავრობის შესახებ. დღეს გაიმართება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელიც განიხილავს საკითხს მთავრობაში სოციალ-დემოკრატების შესვლის შესახებ. სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი გერმან მიულერის მეთაურობით მხარს უჭერს მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის შესვლას, მეორე ნაწილი კი წინააღმდეგია ამის. მთელი პრესა, გარდა მემარჯვენეებისა ესალმება სოციალ-დემოკრატების განზრახვას მიიღონ მონაწილეობა კოალიციაში.

**ბერლინი.** 30 ივლისი. რეინის ფრანკო-ფილური სეპარატისტები გაერთიანდენ პოლიტიკურ პარტიაში ე. წ. „რეინის გაერთიანების“ სახელწოდებით. გაზ. „ფორვერტსის“ ცნობით, სეპარატისტები სარგებლობენ ზოგიერთ წარმატებით, განსაკუთრებით წვრილ ბურჟუაზიის შორის, რომელიც არის რა განაწამები მუდმივი სავალიუტო რევოლიუციებით, წინააღმდეგი არ არის ისარგებლოს ფრანგული ვალიუტით, თავიდან აიცილოს გაჭირება და არ მიიღოს მონაწილეობა რეპარაციების გადახდაში. ფრანკო-ფილური პროპაგანდის წარმატება უმნიშვნელოა გლეხებსა და მოხელეებს შორის და განსაკუთრებით უნაყოფოა მუშებს შორის.

**ბერლინი.** 1 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად ლეიპციგის ციხიდან გაქცეული ერხარდტი იმალება ჰუნგრეთში.

**პარიზი.** 1 აგვისტო. სოციალ-დემოკრატები განაგრძობენ მერყეობას შევიდენ კოალიციონურ მთავრობის შემადგენლობაში, თუ შეინარჩუნონ მეგობრული ნეიტრალიტეტი.

**ვერ შეთანხმდნენ**

**ლიფილდი.** 30 ივლისი, საფრანგეთისა და ბელგიის ელჩებმა დღეს კერზონს გადასცეს საფრანგეთისა და ბელგიის პასუხი ინგლისის ნოტაზე. მათ შემდეგ მოვიდა იტალიის ელჩი, შემდეგ გერმანიის, მათ დიდხანს ითათბირეს კერზონთან.

მოლაპარაკებათა შემდეგი სასტიკ საიდუმლოებით ინახება. ხვალ კაბინეტის წევრები პასუხის გამოსარკვევად შეიკრიბებიან.

გაზეთები იუწყებიან, რომ პუანკარემ გადაჭრით უარი განაცხადა რურის ევაკუაციაზე და იქ საოკუპაციო რეჟიმის შესუსტებაზე, პუანკარემ აგრედვე აღძრა მოკავშირეთაშორისო ვალების საკითხი და იძლევა წინადადებას, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემცირდა ფრანგების პრეტენზიები გერმანიისადმი, იმავე რაოდენობით შემცირდეს საფრანგეთის ვალები ინგლისისადმი.

ეს წინადადება ინგლისელებისათვის სავსებით მიუღებელია, რადგანაც მათ არ სურთ თავის თავზე მიიღონ საფრანგეთის სამხედრო ხარჯები. საერთო აზრით, პუანკარე ცდილობს ბალდვინის დაუსრულებელ მოლაპარაკებებში ჩათრევას, იმ მიზნით, რომ გერმანიის გაკოტრება თავის თავად გადასწყვეტს საკითხს.

**ლიფილდი.** 30 ივლისი, ინგლისის პრესა ინგლისისადმი გაგზავნილ ბელგიის პასუხს უწოდებს „კეთილსინდისიერს, მაგრამ უნაყოფო ცდას“ საფრანგეთისა და ინგლისის შესარიგებლად.

ამ დღეებში ბალდვინი გამოვა თემთა პალატაში განცხადებით საფრანგეთისა და ბელგიის ნოტის შესახებ.

## ახალი ამბები

— **მკვლელობა.** 30 ივლისს საღამოთი სოფ. წყნეთის ახლოს ტყეში უცნობ ბოროტ განმზრახველთ მოკლეს ყაზაროვი, რომელიც მუშაობდა ვინმე აკოფოვთან. მოკლულს ყაზაროვს ჯიბეში ჰქონია 15 მილიონი მანეთი, რომელიც მკვლელებს წაუღიათ. მკვლელის აღმოსაჩენად სასტიკი ზომებია მიღებული. ეშვით დაპატიმრებულია 2 წითელარმიელი.

— **ცეკავშირში.** ცეკავშირმა გააძლიერა საქონლის ექსპორტი. განზრახული აქვს გაგზავნოს საზღვარგარეთ სიმინდის დიდი პარტია.

— ცეკავშირს მაისის თვის განმავლობაში შეუძენია სხვა და სხვა საქონელი „რუსკავტორგის“ სალიკვიდაციო კომისიისაგან 31.000 ფ. სხვა და სხვა საქონელი, ფქვილი 46.000 მ. ცენტროკავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებისაგან მანუფაქტურა 37.000 მ. სხვა და სხვა ხაქონელი 11.000 მ. „ხლებოპროდუქტისაგან“ 2 ვაგონი შუშა, სულ 96.500 მანეთი ოქროთი.

— ცეკავშირის საკონსერვო ქარხანაში ამ სეზონისთვის განზრახულია, რომ დამზადდეს 160.000 ნახევარ კილოიანი კონსერვები. 500 ფუთი ვაშლის „პასტილა“, 10.000 ბოთლი ხილეულის წვენი, 7.500 ფ. სხვა და სხვა მწვანილი.

— **ბეგების განდევნა.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ტფილისის გამასწორებელ სახლში გაგზავნა 12 ბეგი, როგორც არაკეთილ საიმედო პირები.

— **ბათომის ნავთსადგური.** ივლისის 30-ს ოდესიდან მოვიდა გემი „ილიჩი“ 400 მგზავრით და 2,385 ფუთი ტვირთით. ნავთის საზიდმა გემმა „ემილ-ნობელმა“ წაიღო 350.300 ფუთი მანქანის ზეთი.

— **შრომის ხახ. კომისარიატში.** 1 აგვისტოსთვის საქონლის მანეთის კურსი განსაზღვრულია 3.416.500 მანეთით ა.-კ. ბონებზე.

— **ტფილისის ბირჟა.**

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ბანკის ჩერვონცები | 19,650 |
| სტერლინგი ეფექტივი | 18,700 |
| ჩეკი | 16,550 |
| დოლარი ეფექტივი | 3,800 |
| ჩეკი | 3,500 |
| ოსმალური ლირა | 2,800 |
| ჩეკი | 2,425 |
| იტალიანური ლირა | 140 |
| ფრანგული ფრანკი ეფექტივი | 210 |

— **საქონლის ბირჟა.** წინადადებაა, ფანჯრის მინები, ბოთლები, კაუსტიკური სოდა, ხორბალი, ლურსმანი, წუმწუმა, „იარაიდა“, ვოლკოვი და ბერეზინისა. საპონი 1 ხარისხის „მამალი“, მაკარონი, ვერმიშელი, ცემენტი, სახურავის თუნუქი, ურალისა 1 ხარისხის ქაღალდი და კარდონი. და სხვა საქონელი.

— მოთხოვნილებაა: ფქვილი უმაღლესი და 1 ხარ. ყუბანის და ადგილობრივი, ცემენტი პარტლანდისა. ნედლი ტყავეულობა, ყველი შვეიცარიული, მავთული რკინისა, № 14. თეთრი ინგლისური თუნუქი, შაბიამანი, მარილი დაფქვული და ქვა, ჩაი ცეილონისა, გოგირდი „ბუდა“ ხორბალი ყუბანისა. და ადგილობრივი, კარდონი, № 60.70.80.

## პარტიული

ორშაბათს, ივლისის 30, საღამოს 8 საათზე პარტიულ კლუბში შესდგა მეოთხე რაიონის საერთო კრება.

კრება გახსნა რაიკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გრიგოლ ლასკარმა, რომელმაც გააცნო ამხანაგებს დღის წესრიგი:

1) საქალაქო კონფერენციის ანგარიში.
2) შეფობის მიღება სოფლებზედ.
3) პარტვარჯიშობა და მიმდინარე საკითხები.

კრების სურვილით პირველ საკითხათ იქნა დასმული შეფობა, შეფობის შესახებ ამხანაგებს აცნობებს ამხ. გრიგოლ ლისკარი რაიკომის დადგენილებას;

საქალაქო კონფერენციის დავალებით აღნიშნა მომხსენებელმა, დავალებული ქონდა ტფილისში არსებულ ორგანიზაციებს შეფობა აეღოთ ტფილისის მაზრის, რომელიმე დაბა ან სოფელსა, მაგრამ მეოთხე რაიკომი არ კმაყოფილდება ამით და დაადგინა სენაკის მაზრასაც გაუწიოს კულტშეფობა.

ჯერჯერობით რაიკომს შეუძლია ზემოდ აღნიშნულ ორგანიზაციებს მიაწოდოს გაზეთები.

კრება ერთხმათ ადასტურებს რაიკომის დადგენილებას.

სიგვიანის გამო კრების გაგრძელება გადაიდო ხუთშაბათისათვის.

**ხაყავრიელი.**

— —

დღეს, აგვისტოს 3-ს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია **პირველ რაიონის კრების** (დიდუბე და ნაძალადევი) გაგრძე-

ლება. მოვალენი არიან პარტიული ამხანაგები გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

———

დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მე-Ш-ე რაიონის ამხ. კრება პარტიულ ბიუროში კახეთის მოედანი № 2.

მდივანი **სეფერთელაძე.**

———

თანახმად ტფილისის კომიტ. დადგენილებისა პარტიის თვითეული წევრი ვალდებულია გადაიხადოს უმუშევართა ფონდისათვის ივლისის ერთი დღის შემოსავალი. წინადადება ეძლევა ამხანაგებს შემოიტანოს ასეთი ა. წ. 5 აგვისტომდე.

**პრეზიდიუმი.**

# მუშათა ცხოვრება

## პითხვა-პასუხი

**კითხვა.** დასაშვებია თუ არა ერთსა და იმავე დაწესებულებაში ახლო ნათესავების და ცოლის ნათესავების სამსახური?

**პასუხი.** ახლო ნათესავების და ცოლის ნათესავების (მშობლები, ცოლ-ქმარნი, დები, შვილები, და აგრეთვე ცოლის მშობლები, დები, ძმები) შეუძლიათ იმსახურონ ერთსა და იმავე სახელწიფო დაწესებულებაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათი სამსახური არ იქნება დაკავშირებული ერთი მეორისადმი დაქვემდებარება ზედამხედველობასთან. ზემო აღნიშნულ პირობებში ერთსა და იმავე სახელმწიფო დაწესებულებაში ახლო ნათესავების და ცოლის ნათესავების სამსახური დასაშვებია გამონაკლისის სახით არჩეულ მოსამსახურეებისადმი.

—

**კითხვა.** საჭიროა თუ არა თანხმობა ერთი ადგილიდან მეორეში სამსახურის გადაყვანისათვის.

**პასუხი.** თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 37 და 89 მუხ. მუხ—სა, მშრომელის გადაყვანა ერთი წარმოებიდან მეორეში ან-და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, თუ გინდ წარმოება-დაწესებულებასთან ერთად შეიძლება მოხდეს მხოლოდ მშრომელის თანხმობით. თუ კი უკანასკნელის მხრივ არ არის ასეთი თანხმობა, მაშინ შეიძლება გაუქმდებს დაქირავების ხელშეკრულება და ვალდებულია დამქირავებელმა მისცეს მას გასასვლელი დახმარება არა ნაკლებ ორი კვირის რაოდენობისა.

N.

## პროფორგანიზაციები და „ხოზიაისტვენნიკები"

6.

(გაგრძელება)

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციის მოქმედებიდან კიდევ ერთ ცნობას მოვიყვან. ინჟ. კოირანსკი განაგებდა წყალთა ექსპლოატაციას. (ვოდოპოლზოვანიე) მას მიანდვეს აბაშის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის პროექტის შედგენა. პროექტის შედგენა დროებითი საქმე იყო. სამ თვეში დასრულდა იგი და 27 ივნისს ინჟ. კოირანსკის გამოუცხადეს, რომ ის შემოკლებულია. იმ თანამდებობაზე კი რომელზედაც ირიცხებოდა ინჟ. კოირანსკი დანიშნულია ახალი მოსამსახურე (იურისტი). ჩვენ არაფერს ვიტყვით თუ რამდენათ მიზანშეწონილია ინჟენერის მაგიერ იურისტის გამოყენება, მაგრამ აქ ინჟ. კოირანსკის ფორმალური უფლების დარღვევაა. ყური დაუგდოთ ინჟ. კოირანსკის. ადგილობრივ კომიტეტში ის აცხადებს: „მაისის ბოლო რიცხვებში ლიტვინოვმა გამომიცხადა, რომ მე გამომიყენებდა ის როგორც გამოცდილ ინჟენერს პროექტების შესადგენათ და მივიღებდი იმავე ჯამაგირს რასაც ვღებულობდი, იმის შესახებ კი, რომ მე დანიშნული ვიყავი აბაშის ჰიდრო-ელექტრონური სადგურის პროექტის შესადგენად 25 ივნისის ბრძანებით მხოლოდ ეხლა გავიგე, ამხ. ლიტვინოვს მაშინვე რომ ეთქვა ეს, მე არ დავთანხმდებოდი, რადგანაც ასეთი თანამდებობა არ არსებობდა; აბაშის სამუშაო იყო კერძო და დროებითი"-ო.

ადგილობრივ კომიტეტს გამოაქვს დადგენილება: „1. ამხ. კოირანსკი უკანონოთ არის მოხსნილი თანამდებობიდან; 2. დანიშვნა ახალი პირის მის თანამდებობაზე, როცა არის გამოცდილი ინჟენერი უსამართლობაა. 3. თუ თანამდებობა ინჟენერის პროექტების შესადგენად შემოკლებულია მაშინ ინჟ. კოირანსკის უნდა დაუბრუნდეს ძველი თანამდებობა (წყლის ექსპლოატაციის გამგებლობა).

ჩვენ ფაქტის წინაშე ვსდგევართ კოირანსკი დაითხოვა ადმინისტრაციამ, ადგილობრივი კომიტეტი მას (კოირანსკის) გამოესარჩლა, მაგრამ ლორიას მაგალითის შემდეგ (იხ. „ტრიბ." №№ 534 და 535) დიდი იმედი არ არის, რომ მიზანს მიაღწიოს კოირანსკის დათხოვნა ფორმალურათ არ არის მართალი, მაგრამ მეორე გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები. ის 70 წლის მოხუცია, არა ჰყავს მარჩენალი, ახალი ადგილის მონახვა არ შეუძლია. მისი დათხოვა სამსახურიდან უდრის ნელი ნაბიჯით მაგრამ მაინც სიმშილით სიკვდილს. თუ წინაღ 40 წლის სამსახური იძლეოდა გარანტიას პენსიას და სიკვდილის წინა დღეებში დამსახურებულ ადმიანს სახელმწიფო ასე თუ ისე უზრუნველყოფდა, დღეს რადგან დასტოვეს კოირანსკი ულუკმაპუროდ. მე ამით არ მინდა ვსთქვა, თითქოს ამიერკავკ. წყალთა მეურნეობა ვალდებული იყოს ინვალიდები არჩინოს. თუ წინათ სახელმწიფო „უზრუნველყოფდა ორმოცი წლის ნამსახურ კაცს, დღეს ეს საშუალება მაინც უნდა მოვიხმაროთ, რომ არ მოვგლიჯოთ სამუშაოს კაცი, როცა მას შესწევს ძალა მუშაობისა. როგორც ზევით აღვნიშნე კოირანსკის არ ჰყავს არც ცოლი არც შვილი. მისი ერთად ერთი ქალი—ექიმი კაზაკებმა მოჰკლეს ერევნის მოედანზე რევოლიუციონურ გამოსვლისათვის 1905 წელში.

ეს მეორე შემთხვევაა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციის მიერ მოსამსახურის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა. ამის შესახებ არაფერი იცის მოსამსახურემ. ეს მეორე შემთხვევაა კავშირს დაკარგავ ... ხურის დათხოვნის. კოირანსკის დათხოვნის ნამდვილ მიზეზებზე ჩვენ არ შევჩერდებით,—ეს მით უმეტეს, რომ კონფლიქტი ამ საკითხის გარშემო არ არის დასრულებული.

**ს. ჭეიშვილი.**

(დასასრული იქნება)

## ფურცლები დღიურიდგან

(გაგრძელება)

19 აპრილი 1907 წ.

ხუთი წელიწადი მეტი მე და არჩილმა რუსეთში გავატარეთ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი გაჭირვება ვხახეთ და ამ გაჭირვებამ უფრო დაგვაახლოვა ჩვენ ერთმანეთთან და განამტკიცა ჩვენი ძმობა და მეგობრობა. რუსეთი მაშინ თვითმპყრობელობის ბურჯი იყო. შავ-რაზმელების და ხულიგნების „სამშობლო" და არა-რუსებისთვის და უცხოტომელებისთვის ცხოვრება მეტად მძიმე და აუტანელი იყო... მაგრამ ჩვენ ყველაფერი გადავიტანეთ... გადავიტანეთ იმიტომ, რომ ჩვენი მისწრაფება განათლებისკენ მეტად ძლიერი იყო და ჩვენ ვერაფერი ვერ შეგვაშინებდა. ჩვენ აშკარად დავრწმუნდით იმაში, რომ განათლება და ცოდნა გაბატონებულ კლასების ხელში გადაქცეული იყო იმ იარაღად, რომლითაც ისინი იპყრობდნენ ხალხს, ამ განათლებას მოკლებულს, და გარდავწყვიტეთ გამოგვეგლიჯა მისთვის ეს იარაღი ხელიდგან ხალხის საკეთილდღეოთ... და ჩვენისთანები იყვნენ ბევრნი მეტად და ეს ჩვენი მისწრაფება არ იყო ეგოისტური; ჩვენი გზა ეკლიანი იყო: გაყინულ „ჩერდაკებზე" ცხოვრება, კვირით-კვირობამდე ცარიელი „ჩაის და არტანი ჯურის" ანაბარა ყოფნა, განუწყვეტელი „ძებნა" სამუშევარის და ათ შაურიან „ოროკებზე" სირბილი ისეც ქალაქის განაპირა ადგილებში მუხლებამდის თოვლში და 35—40° ყინვაში, გაფხეკილ „ტუჟურკით" და თითებ გამოყოფილ ფეხსაცმლით!.. ერთის მხრით, გამწვავებული ბრძოლა ლუკმა ჯურისთვის და ყოველ-დღიური არსებობისთვის, რომელიც ხშირად პირუტყუოს მდგომარეობაში აყენებს ადამიანს, მეორეს მხრით, უმაღლესი განათლების მიღწევა, რომელიც დაშშვიდებულს და უზრუნველყოფილს ცხოვრებას მოითხოვს და მხოლოდ შეძლებულ და გაბატონებულ კლასებისთვის არის მისაწდომი!.. განათლება, რომელიც ჰაერივით საჭიროა ყოველი ადამიანისთვის, გაბატონებული კლასის პრივილეგიაა! განათლება მდიდრის ხვედრია—სიბნელე და სიმშილი ღარიბისა!.. ასე არის და ასე იქნება მანამდის „სიმდიდრე" დაგროვილია გაბატონებულ კლასის ხელში. რა იქნებოდა, რომ ერთ დღეს ამ კლასს დაეთმო ეს „სიმდიდრე" თავის ნებით და ღარიბ ხალხისათვისაც მიეცა საღსარი განათლებისათვის? მაშინ ხომ სიმშილი და სიბნელე აღარ იქნებოდა! მაშინ ხომ ჩვენისთანები, ე. ი. უმრავლესობა აღარ დაიტანჯებოდა, აღარ გამოიცლიდა ასეთს გაჭირვებას, აღარ განიცდიდა ასეთს საშინელს სიღარიბეს!..

. . . . . .

სწორედ ამ სიღარიბემ ჩაგვახედა ჩვენ ცხოვრების სიღრმეში და დაგვანახა მის ძირზედ ის, რასაც ზეზე მოტივტივე ელემენტები ვერა ჰხედავენ...

ეს იყო უკმაყოფილება და მღელვარება ძირისა, რომლის აშლა და გადმობრუნება აუცილებელი იყო... ის საშინელი სიბნელე და აუტანელი სიღარიბე, რომელსაც რუსეთში ხალხი განიცდიდა, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და ხშირად, ასეთ ჩვეულებრივ შემთხვევებშიაც კი, როდესაც ათასგვარ სურსათ-სანოვაგით და დელიკატესებით სავსე მაღაზიების ვიტრინებთან ჩვენა ვხედავდით დამშეულს და დავრდომილს და უკანასკნელ პარიზის „მოდაზედ" მდიდრულად მორთულს და ძვირფასი ბრილიანტებით მოჭედილს „ბატონის ან ქალბატონის" გვერდით ძონძმანძებში გახვეულს ხელ გაწვდილს მაწანწალას,—ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ ეს საშინელი უფსკრული და აუტანელი უთანასწორობა ადამიანთა შორის დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და მალე ჩაჰნთქავდა მთელს „დაგროვილს" სიმდიდრეს ქვეყანაზედ და ადამიანთა გვამებითვე ამოივსებოდა!..

სწორედ ამ სიღარიბემ დაგვაახლოვა ჩვენ იმ ღარიბ ხალხთან, რომელიც ზოგიერთებისთვის წარმოადგენს გამოუცნობს სფინქს და სამეცნიერო ექსპერიმენტების საგანს და რომელიც ადვილად გასაგებია და გამოსაცნობი მისთვის, ვინც თვითონ სიღარიბეს განიცდის ან განუცდია!

ჩვენ განვიცადეთ ეს სიღარიბე და გავიცანით ხალხი: ჩვენმა „ექსპერიმენტმა" დაგვარწმუნა, როღარიბი ხალხი არის მშრომელი მასსა, რომელიც მთელი დედამიწის ზურგზედ წარმოადგენს უმრავლესობას და თუმც ის დღეს სხვა და სხვა ქვეყნებშია გაფანტული, მაგრამ მაინც ერთს მთლიანს და ერთ სულოვანს სხეულს ეკუთვნის: ქვეყანაზედ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს მის მოსპობა ან სამუდამო დამორჩილება!..

რაც უფრო მეტია ხალხის ჩაგვრა და ექს-

## გაფრენა აწყვეტით.

დაღლილი მხრებით მე ვერ მზიდავს ქვეყანა ძველი...
შურით და ცოფით აყეფდება სამყარო ჩემზე.
გექნება მოსვლა გასაოცარ გასაკვირველი,
და პლანეტები, მოჰკურცხლავენ სხვა პლანეტებზე...
იქნება შიში, გადარევს კორიანტელი,
დღე უცნაური გრიგალივით გაინავარდებს.
ვინც არის თქვენში უნუგეშო, მხთალი პანტერა,
დასტოვებს დარბაზს მახინჯ ყოფნის ლამაზ ვერანდებს.
მე ამ ქვეყანაზე დატევა გამიჭირდება
მოდის სიზმარი ძველი ცოდვით, სისხლით ბალღამით,
და გამოღვიძების დროს ისე გამიკვირდება,
თითქოს მეძინა გალიაში აკინძულს ღამით...
მე დამდგარ ყოფნას მირჩევნია წამება ჯვარზე.
ჩემზე საკითხი ერასოდეს არ გადაწყტება;
მე სუყოველგან და ყოველთვის ვიქნები ვარზე,
გაბერილ მიწას სალტეები შემოაწყტება...
მე ჩემი თავიც ხომ საშინლათ შემეზიზღება
რომ გუშინდელი ჩემი ყოფნა აგრე მახსოვდეს,
ჩემი სიცოცხლე ყოველ წუთით ახლათ იწყება,
პირძაღლ ქვეყანას სამუდამოთ უნდა ვახსოვდე...
ყორნის თვალების კრიალოსნის ახმაურებით,
მე გავასვენებ უხალისო ბინძურ ამინდებს.
სხვა კავალკადა მოდის შენსკენ უცხო სტუმრებით.
ძრწოდეთ სფინქსებო! გეშინოდეთ ძველ პირამიდებს!..

**დავით დოლიძე.**

## მოხუცებულობასთან ბრძოლა და გაუმაღვილება.

4.

**მოხუცებულების და სიკვდილის მიზეზები. მეჩნიკოვის თეორია. „დაღლილობის შხამი". სხეულის თვითმოწამვლა როგორც მიზეზი მოხუცებულობის და სიკვდილისა.**

იმ მრავალ ასეულ მილიონ უჯრედების, რომელთაგანაც შესდგება ადამიანის სხეული, თანაზიარი ცხოვრება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული უჯრედის მუშაობა შეთანხმებული იქნება დანარჩენ უჯრედების მოქმედებებთან. მხოლოდ მათ ჰარმონიულ მუშაობის და მოქმედების დროს ორგანიზმი იშლება, ვითარდება, მაგრდება და ყვავის, ხოლო როგორც კი ჰარმონია დისჰარმონიათ იცვლება, ორგანიზმი ჭკნება, ძაბუნდება, ბერდება და კვდება.

ჩვენ წინა წერილებში აღვნიშნეთ რომ ორგანიზმში არსებობენ მთელი რიგი უაღრესად საჭირო და სათუთ უჯრედებისა, რომელთა მოქმედება-მუშაობაზე დამოკიდებულია ყოფნა-არყოფნა ორგანიზმისა და რომ ამავე დროს ეს უჯრედები მოკლებულნი არიან გამრავლების უნარს, რომ მათი აღორძინება შეუძლებელია და რომ ისინი თანდათან იცვლებიან, ბერდებიან და კვდებიან. **მეჩნიკოვმა** გამოარკვია, რომ ამ „კეთილშობილ" უჯრედების დაშლა-დარღვევაში მონაწილეობას იღებენ, იმავე ორგანიზმშივე მყოფი ერთი წყება უჯრედები ე. წ. ფაგოციტები. ეს მოხეტიალე უჯრედებია, მათ პროტოპლაზმას შეუძლია შეწევა სხვა და სხვა წილადებისა და მათი მონელება (ეგეთ მოვლენას მეჩნიკოვმა ფაგოციტოზი უწოდა). ნორმალურად მათ დანიშნულებას წარმოადგენს ადამიანის სხეულში შეჭრილ ბაქტერიეებთან (თვალთუხილავნი არსებანი, რომელთა შორის ნაწილი გამომწვევია სენების) ბრძოლა და მოსპობა, განთავისუფლება ორგანიზმისა სხვა და სხვა უვარგის წილადებიდგან.

ამნაირად ეს უჯრედები ნორმალურად დამცველნი არიან ორგანიზმისა, მაგრამ საკმაოა ორგანიზმი მოძაბუნდეს, დაიწყოს შესუსტება, როგორც ამ ფაგოციტების დადებითი მუშაობა უარყოფად მოვლენად გადაიქცეს: ფაგოციტები იწყებენ შესუსტებულ და ძალა მილეულ „კეთილშობილ" ელემენტების შთანთქმა-მონელებას, რაც იწვევს ორგანიზმის დაღარიბებას და ბოლოს სიკვდილს.

რამ გამოიწვია ეგეთი დისჰარმონია ორგანიზმში, რამ დაასუსტა, მოცვითა „კეთილშობილი" ელემენტები, რად გახდნენ ისინი ფაგოციტების ხვედრნი?

მეჩნიკოვი ამ დისჰარმონიას ხსნის ორგანიზმის თვითმოწამლით. ის ამტკიცებს რომ მთავარი საწყისი, საიდანაც მთელ სხეულს ედება შხამი, არის ის ნაწილი ნაწლევთა, რომელშიაც გროვდება საჭმლის დანაშთენი. ეს ნაწილია—მსხვილი. ნაწლევები. აქ საჭმლის მონელებას უკვე ადგილი აღარ აქვს, აქ დაგროვილია საზრდოობისათვის უვარგისი, უკვე ორგანიზმისათვის მავნე დანაშთენი, აქვე ხდება დუღილი და ლპობა.

ამავე ნაწილევებშია თავმოყრილი ურიცხვი რაოდენობა ბაქტერიეებისა. აი ამ ბაქტერიებთა შორის არიან ეგეთები, რომლებიც იმუშავებენ მომწამვლელ შხამს. თან და თანობით, დღითი-დღე გამომუშავებული შხამი ერთვის სისხლს, იარს ადამიანის მთელ ორგანიზმს, არ სტოვებს არც ერთ კუნჭულს და სწამლავს ყოველ უჯრედს სხეულისას.

ცხადია, უმფრო ძლიერად შხამი იმოქმედებს სათუთ და „კეთილშობილ" შენობის მატარებელ უჯრედებზე და მართლაც ყველაზე ადრე იწამლებიან, სუსტდებიან, იცვითებიან და კვდებიან ნერვიული სისტემის უჯრედები, შემდეგ კუნთების, შემდეგ ორგანოების და სხვ. მოწამვლა ორგანიზმისა ხდება თან და თანობით, ეგრეთვე თან და თანობით სუსტდება, ძაბუნდება და ბერდება სხეულიც. ამავე პროცესს ხელს უწყობს მსხვილ ნაწლევებში დაგროვილ საჭმლის დანაშთენის დუღილი და ლპობა.

ამნაირად მეჩნიკოვის თეორიის მიხედვით სიბერე ადამიანის სხეულისა შედეგია მსხვილ ნაწლევებში არსებულ ბაქტერიების მიერ გამომუშავებულ შხამით მოწამვლის და ამავე ნაწლევებში არსებულ დუღილის და ლპობის პროცესების.

მაშ ეს თუ ასეა მოხუცებულობასთან ბრძოლის იარაღიც ნახულია: საჭიროა შექმნა ეგეთ პირობებისა, რომლებიც საშუალებას არ მისცემენ ბაქტერიებს გამრავლდენ და განვითარდენ და მეორე მხრივ თავიდან ააშორებენ დუღილის და ლპობის პროცესებს.

ეგეთ პირობების შესაქმნელად მეჩნიკოვი ორ გზას აღნიშნავს: ან ეს ორგანიზმისათვის არა საჭირო ნაწლევები ამოჭრილ უნდა იქმნეს, ან-და ორგანიზმში ეგეთი ბაქტერიები ჩავასახლოთ, რომლებიც ორგანიზმისათვის უზიანონი იქნებიან, ამავე დროს-კი მომწავლელ ბაქტერიებს შეასუსტებენ და მოსპობენ.

პირველი გზით, ე. ი. ამოჭრით ცდების მოხდენა ადამიანის სხეულზე ძლიერ სიძნელეს წარმოადგენს, ამის გამო ზემოხსენებულ თვისების ბაქტერიის გამონახვა დაიწყეს.

მართლაც მეჩნიკოვის მიერ აღმოჩენილი იყო ე. წ. „ლაქტ ბაცილინი" და „ამიდოლიტიური" ბაქტერიეები, პირველნი მომწამვლელი ბაქტერიების მოსასპობათ, ხოლო მეორენი დუღილის და ლპობის ასაცდენათ. საჭირო შეიქნა აგრეთვე სათანადოთ არჩეულ საჭმლით საზრდოობა. ეგეთ „გამაყმაწვილებელი" საზრდო მეჩნიკოვის მოსაზრებით უნდა შესდგებოდეს: 500—600 გრამ „მეჩნიკოვის მაწონისაგან", 120 გრამ ხორცისაგან და აგრეთვე ხილეულობა-მწვანეულობისაგან. მეჩნიკოვის თეორია ფრიად საინტერესოა, როგორც სიმარტივით, ისე მარტივ საშუალებებით. ამასთანავე ეს თეორია ნათელს ფენს ორგანიზმის მოხუცებულობის გამომწვევ მიზეზებს, ნათელყოფს თვით მოწამვლის მნიშვნელობას ორგანიზმისთვის. უკანასკნელ წლებში, უმთავრესად გერმანელ პროფ. **ვეიხარდტის** გამოკვლევათა მეოხებით გამოირკვა, რომ ორგანიზმის მოწამვლაში დანაშაულება მიუძღვის არა მარტო მსხვილ ნაწლევებში ჩასახლებულ ორგანიზმებს და არსებულ პროცესებს, არამედ აგრეთვე სხეულის ყოველ ორგანოს, უჯრედს „დაღლილობის შხამი", რომელიც აღმოაჩინა ზემოხსენებულმა პროფესორმა შედეგია ორგანოების და ქსოვილების ენერგიულ მუშაობისა; მომეტებულ რაოდენობას ამ შრომისას იძლევიან კუნთების უჯრედები. ამ შხამს სახელად დაერქვა „კეტოტოქსინი" და ძლიერ წააგავს ბაქტერიათა მიერ გამომუშავებულ შხამს. „კეტოტოქსინი"-ს ცხოველებზე გამოცდამ მკვლევარებს დაანახვა, რომ ის წარმოადგენს ძლიერ შხამს და იწვევს საცდელ ორგანიზმში დაღლილობის სიმპტომებს—გაშეშებას. სხეულის ტემპერატურის დაცემას, სუნთქვის შეკავებას და თუ შეშხაპუნებულია საკმაოდ დიდი დოზა—სიკვდილსაც.

ცხადია, რომ გამუდმებული გამომუშავება ამ ორ სახის შხამისა ხდება შეუწყვეტლივ; მათ მომწავლელ მოქმედებას აძლიერებენ კიდევ მრავალგვარი შხამები იმავ ორგანიზმში გამომუშავებულნი ამნაირად, ორგანიზმი თვით იკლავს თავის თავს—თვით იშხამება და მაშასადამე სიბერე და სიკვდილი აუცილებელი ყოფილა, უსაფუძლონი ყოფილა ყველა ცდანი მათ წინააღმდეგ მიმართულნი.

მაშ რაღა დაგვრჩენია, თუ არ შეურიგდეთ ბუნების მიერ დაწესებულ ბედს და დადებულ საზღვარს!

მაგრამ მართლა მორჩილება-ღა დაგვრჩენია? შეიძლება ორგანიზმში არსებობდენ ეგეთი საშუალებანი, რომლებიც დაგვეხმარებიან ამ შხამებთან ბრძოლაში, შეიძლება თუ არა ეგეთ საშუალებათა გამონახვა და თუ შეიძლება, როგორი გზებით და მეთოდებით?

**ტრ. ჩუბინიძე.**

(შემდეგი იქნება)

პლოატაცია, მისი ძალა-უფლების უარყოფა და მისი სურვილების და მისი მისწრაფების შეზღუდვა,— მით უფრო მეტია მისი ლტოლვა თავისუფლებისაკენ, მით უფრო მძლავრია მისი სულის კვეთება, მით უფრო გაბედულია მისი „მე“, მით უფრო საშინელია მისი რისხვა!

ყოველი „რეაქცია“, ყოველი წინააღმდეგობა არის მხოლოდ გამწვავება იმ ბრძოლისა, რომელიც ადრე თუ გვიან მშრომელი ხალხის გამარჯვებით გათავდება და უფრო მეტს სისასტიკეს გამოიწვევს!..

რეაქცია ყოველთვის არის „გამოფენა“ ანუ გამოსვლა იმ ელემენტებისა, რომელნიც თავის ნებით თავის განცხრომილს ცხოვრებაზედ ხელს არ იღებენ და მშრომელი ხალხის ფარულად დანასა ჭლესავენ ზურგში ჩასაცემათ...

ყოველი რეაქცია იმის მაჩვენებელია, რომ მშვიდობიანი გზით მშრომელი ხალხი ვერ მიაღწევს თავის სურვილს, ამისათვის „რეაქცია“ არის გამწვავება ბრძოლისა კაცობრიობის გასაწმენდათ და გასახთავისუფლებლად...

რეაქცია არის მოსპობა იმ ელემენტებისა, რომელნიც წინ ეღობებიან კაცობრიობის დიად მომავალს და აფერხებენ პროგრესს თავის პარაზიტიულ არსებობის გასაგრძელებლად!..

ცხოვრება არის წინსვლა, პროგრესი და მისი უკან დატრიალება შეუძლებელია: იგი უკვე გაჩერება და სიკვდილი იქნებოდა; ცხოვრება მიმდინარეობს შეურყევლად ერთს და იმავე მიზნისაკენ და ყოველი „რეაქცია“ და „კონტრ-რევოლიუცია“ თავის-თავად იწვევს ახალს რევოლიუციას რეაქციის და რეაქციონურ ელემენტების გასანადგურებლად!..

რეაქცია რეაქციონერების სასაფლავოა!..

**გენო ყორჩიბაში.**

# დავიდ ფრიშმანი

**(1865—1922)**

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც გადაიცვალა დავიდ ფრიშმანი.

ვინ იყო დავიდ ფრიშმანი?

საქართველოში მას ნაკლებად იცნობენ, იმ დროს როდესაც ის ითვლება სიამაყედ ებრაულის ერისა.

ამბობენ, რომ ფრიშმანი მოკვდაო, მაგრამ ნუ თუ მართლა მოკვდა? ნუ თუ შეიძლება სტიქიის სიკვდილი?

როდესაც სტიქიური უბედურება წალეკავს ყველაფერს, რასაც გზაში გადაეღობება და შესცვლის ბუნების ძველ მიმართულებას--განა მისი ცვლილებით თავზარდაცემულნი ჩვენ არ შევცქერით მას რამოდენიმე საუკუნეების განმავლობაში?

და ფრიშმანიც იყო სტიქია მოზღვავებული. განა შეიძლება მისი სიკვდილი?

1.

ერთ სიონისტურ კონგრესზე, რომელიც გაიმართა ქ. ჰაგაშიცნობილმა კრიტიკოსმა მაქს ნორდაუმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „საკითხი უმრავლესობით სწყდებაო, ჭეშმარიტება კი უმცირესობაში რჩებაო“.

არ ვიცი ეს აზრი რამდენად ეთვისება თანამედროვეობას, მაგრამ რაც თვალწინ წარმომიდგება ჩემი ერი—სამწუხაროდ ეს ასეა.

საგანი ჩემი თემისა—ამ ჟამად, სრულიად არ არის ებრაული პოეზიის შესახებ ბაასი, მაგრამ ცოტაოდენად მაინც, როდესაც დავით ფრიშმანის პიროვნებას ვეხებით, არ შემიძლია გვერდი ავუხვიო ჯ თავდაპირველი მიზეზები რუსეთში ებრაული პოეზიის გაჩენისა—გაკვრით მაინც არ მოვიხსენიო.

რას წარმოადგენდა ებრაელის ერი რუსეთში თვითმპყრობელობის ხანაში? პოლიტიკურად მკვდარ სხეულს, შევიწროებულ და უაღრესად ტანჯულ ელემენტს, ხოლო სულიერად უაღრესად ზნეობრივად დაცემულს და განუვითარებელ, შეუგნებელ ბრბოს. ე. წ. რუსული „რეკრუტჩინა“ სულის მხუთავი ჯალათივით მოეფლინა ამ ერს. 10 წლის ბავშებს სტაცებდენ დედ-მამას, აგზავნიდენ სამსახურში და სამუდამოდ ასალმებდენ თავის სახლ-კარს და თავის ერს.

„გეტო“ ხომ საშინელება იყო. ებრაელები თავიანთვის მიჩნეულ ქუჩებში უნდა ჩამლრჩვალიყვენ და იმ საზღვარს ვერ გასცდებოდენ, თორემ ვაი მათ! შეგნით, რას სჩადიოდა ეს ერი? იმის მაგივრად, რომ ერთმანეთისთვის ხელი მოეკიდათ, გამაგრებულიყვენ და შეერთებული ძალით მოეგერებინათ მტერი, ისინი ერთმანეთს ჰგლეჯდენ, როგორც ეს სჩვევია სამწუხაროდ ყოველ წვრილ ერს. მათ შეჰქმნეს რაღაც რელიგიოზური სექტები „ხასიდიზმი“ და „მით ნაგდიზმი“ და მთელ დროს ერთმანეთის კინკლაობაში ატარებდენ.

მათ რომ პოლიტიკური თავისუფლება ჰქონოდათ, ვინ იცის, ეს ბუნებით ნიჭიერი ერი სადამდე მიაღწევდა თავის შეგნებით; ძველი რუსეთის ძველი ბატონები, ცხადია ამაზე თავს არ იტკივებდენ. მაშ ვინ უნდა ყოფილიყო ამ ერის მოსარჩლე, მისი ინტერესების დამცველი და მისთვის ხმის ამომღები? ერთად-ერთი მწერლები, მხოლოდ მწერლები, მაგრამ რუსეთის მწერლები არც ასეთი კეთილი ფილანტროპები და უცხოელების მოყვარული გამოდგენ. ყველაფერს ებრაულს—ისინი კრიტიკის თვალით უცქერდენ და არ აინტერესებდათ მიზეზები—სად იყო ეს ძაღლის თავი დამარხული. მეტსაც ვიტყვი: ისინი გამოდგენ ანტისემიტები!

რუსეთის დიდებულ მწერალს გოგოლს, ჰქონდა ბედნიერება რუსულ ლიტერატურაში პირველად შემოეტანა სიტყვა „ჟიდი“. ვინ არ იცნობს მის „იანკელ ჟიდს“ ტარას ბულბაში?

ტურგენევზე ამბობენ: „დიდებული, ახალ ახალი და ჰუმანიური აზრებით მოგვევლინაო“. არ ვიცი ეს ჰუმანობა რატომ არ გამოიჩინა ებრაელების მიმართ, ებრაელს ის უყურებს, როგორც გარყვნილს, გაიძვერას, ჯაშუშს და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ამისთანა ლამაზი სახელწოდებით ჰყავს შემკობილი.

ამ ხალხის შვილი თავის მოთხრობა „ჟიდში“, რომელშიდაც ებრაელი ვაჭრობს ქალიშვილის სხეულით, გასცემს თანამემამულეებს ფულის გულისთვის და სხვ... მაგრამ მე არ მსურს შევჩერდე ტურგენევზე, რადგანაც მისი შოვინისტური მოთხრობა „ჟიდი“ ჩემზე ყოველთვის ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ავიღოთ გენიოსი დოსტოევსკი, ადამიანის სულის კვეთების ღრმად მცოდნე, კეთილშობილი მწერალი. მთელ იმის ნაწერებში ერთგან, ორგან თუ შემხვდა სიტყვა „ევრეი“, დანარჩენ ადგილებში არ ჩამოუვარდება გოგოლს და ტურგენევს, აჭარბებს კიდეც. ებრაელის ტიპი ყოველთვის უარყოფითი მხარეებით აქვს დახასიათებული. არასოდეს არ ცდილა მასში ცოტა რამ „ადამიანური“ ეპოვნა. რომ წერილი არ გამიგრძელდეს მე დიდხანს არ გავჩერდები დოსტოევსკიზე, მაგრამ უნებურად მაგონდება პატარა ადგილი მისი დიდი რომანიდან: „ძმები კარამაზოვები“. აქ არის ასეთი ადგილი, როცა რომელიღაც ქალაქის მოედანს ეხება: „ზდეს ბილი ჟიდი, ჟიდკი, ჟიდიატი, ჟიდეპიატკი“ და ვინ იცის კიდევ რამდენი გამოთქმით აბრუნებს ამ სიტყვა ჟიდს.

რუსის მწერლებიდან ამისთანა ტიპები კიდევ ბევრი შემიძლია მოვიყვანო, მაგრამ არ არის საჭირო. არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც თვითმპყრობელობის უკანასკნელ ხანებში, თავი წამოჰყვეს რუსეთში ჰუმანისტ მწერლებმაც. ესენი იყვნენ გრაფ ტოლსტოი, ლეონიდ ანდრეევი, მაქსიმ გორკი, ჩირიკოვი, ბუნინი და სხვები. ამ უკანასკნელებმა ერთ დროს კიდეც გამოუშვეს დიდი ფორმატის კრებული „შჩეტ“-ი, რომელიც შეეხებოდა მთლიანად ებრაელთა საკითხს, მაგრამ ამას თავი დავანებოთ და დავიწყოთ უკან.

ებრაელის ერში წამოჰყვეს თავი ახალგაზრდა მწერლებმა რაბინოვიჩმა ბოგროვმა და ლევანდამ. საით უნდა ყოფილიყო მათი კალამი მიქცეული? განა არა იმ უსამართლობისაკენ, რომელსაც სჩადიოდა რუსის მთავრობა და მისი პოეზიის წარმომადგენლები ამ ერის წინააღმდეგ?

შიგნით ერთმანეთის გაუტანლობა, გარეთ პოლიტიკური წამება, რეკრუჩინა, გეტო, რუსის მწერალთა ანტისემისტური შეხედულებანი ყველა ეს თავის დაღს აჩნევდა ამ ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს.

ესენი სწერდნენ რუსულ ენაზე და ყველას აცნობებდენ ამ ერის მდგომარეობას და უარყოფით მხარეებთან ერთად დადებით მხარეებსაც. ჭეშმარიტება ებრაელის ერისა იყო დამარხული უმცირესობაში და მათ აიძულეს უმრავლესობასაც ეცნო ეს.

აი ასე წარმოიშვა რუსეთში ებრაული პოეზია რომელსაც პირველ ხანებში ჰქონდა მხოლოდ წმინდა რეალური მიზნები. შემდეგ ასპარეზი ფართოდ გაიშალა და შეიქნა მოთხოვნილება უფრო დიდი. თავი წამოჰყვეს ნიჭიერმა მწერლებმა და შეეხენ მსოფლიო პრობლემებს.

რუსულ ენასთან ერთად დაიწყეს წერა ჟარგონზე და ნაწილობრივ ძველ ებრაულზე.

ვინ სწერდენ ამ ენებზე რუსეთში მე არ მინდა აქ შევეხო, ვინაიდან თემის საგანი მხოლოდ დავიდ ფრიშმანია და ეს კი შეეხება მთლიანად „რუსეთში აღორძინებულ ებრაულ პოეზიას“, რომელიც გამშვენიერებულია სახლებით: ბიელიკი, ფენრეცი, შნეური ჩერნიხოვსკი და სხვ.

მე ვსთქვი, რომ ნაწილობრივ დაიწყეს წერა ძველ ებრაულ ენაზეღაც. ჰალევის შემდეგ, რომელიც ცხოვრობდა საშუალო საუკუნეებში, ეს ენა თითქოს მოკვდა, რადგანაც წამებულ ერს თავისი ტრაღედია თან დასდევდა და ამ ენამ მიიღო მხოლოდ სარწმუნოებრივი ხასიათი.

მე-XIX საუკუნეში დაიწყეს წერა ამ ენაზე, მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც ძველი სტილით, სარწმუნოებრივ რიტორიული მანერით.

ამ ენის განახლების სამშობლოდ ითვლება რუსეთი.

აი აქედან ჩვენ შევუდგებით დავიდ ფრიშმანის გაცნობას, შევეხები დეტალურად მის ბიოგრაფიულ ცნობებს და იმ როლს, რომელიც მან ითამაშა საერთო თანამედროვე მსოფლიო ებრაულ ლიტერატურაში.

**ბერცელ ბააზოვი.**

(შემდეგი იქნება)

# მოსკოვის სასოფ. სამეურნეო გამოფენა

15 აგვისტოსთვის ქ. მოსკოვში გადაწყვეტილია მოეწყოს სასოფლო-სამ. გამოფენა. სრულიად ბუნებრივია ის ყურადღება, რომლითაც შეპყრობილია რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასები ამ გამოფენის მიმართ.

პოლიტიკურ ქარიშხალის შემდეგ, რომელშიაც გახვეული, იყო საბჭოთა ქვეყნები სამოქალაქო ომის გამო და რომელიც სპობდა ყოველივე შესაძლებლობას, რომ ხელის უფლებას გადაესროლა ძალები სამეურნეო ფრონტზე; უკვე ასპარეზი ეხსნება სამეურნეო აღმშენებლობით მუშაობას.

გამოფენა ეწყობა მთავრობის მეთაურობით და ინიციატივით. მასში მონაწილეობს ყველა საბჭოთა რესპუბლიკები. ეს ფაქტი მეტყველია, რომ გამოფენა მნიშვნელოვანი იქნება, როგორც მოვიხსენიეთ მონაწილეობას მიიღებენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც გაგზავნიან განსაზღვრულ რიცხვს დელეგატებისას. მაგრამ საინტერესო და საყურადღებოა ამ შემთხვევაში ის წესი, რომლის მიხედვით მოხდება საქართველოდან გაგზავნა.

როგორც ამას წინათ ცნობა იყო, გამოფენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მშრომელთა ფართო მასსის წარმომადგენლებმა. ეს მოსაზრება რასაკვირველია თავისთავად მეტად საპატიო და სავსებით მისაღებია. მაგრამ ამასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ მშრომელთა მასის ერთ-ერთ ნაწილს, რომელიც თავის მომავლით უშუალოდ მეურნეობასთან არის დაკავშირებული და რომლის გაგზავნას გამოფენაზე თვით ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს მოითხოვენ, შეადგენს აგრონომი სტუდენტები.

თავის თავად ცხადია ჩვენ ვგულისხმობთ არა ნებართვის მიცემას, არამედ რეალურ დახმარებას რომ მთავრობამ სახელმწიფო ხარჯზე იკისროს ამ საქმის მოწყობა. ამას გვალაპარაკებს ის გარემოება, რომ ახლი საზაფხულო პრაქტიკულ ვარჯიშობის დროს, ჩვენმა ხელმძღვანელმა გვაცნობა, რომ განზრახულია გაგზავნა მხოლოდ იმ სტუდენტების, რომლებიც განსაზღვრულ ხნის განმავლობაში 20 მან. ოქროთი გადაიხდიანო.

რასაკვირველია, ეს თანხა ენერგეტიკულ ფედარებით იმ ხარჯთან, რომელიც-ბუკილებლად-საჭიროა ხსენებულ გამოფენაზე დასწრებისა. მაგრამ მიუხედავად ამისა სტუდენტთათვის ამ-ოდენა-ფულად ძნელია და გადამეტება არ იქნება თუ ვიტყვით რომ შეუძლებელიც არის. შესაძლებელია 15—20 კაცმა ისიც შეძლებული წრეებიდან მოახერხონ ამ თანხის წარდგენით მოსკოვში წასვლა, მაგრამ უმრავლესობა კი მოკლებული იქნება ამ შესაძლებლობას.

საჭიროა მთავრობამ ხელი გამოუწოდოს სტუდენტობას.

ყოველი გამოფენა მცირე მაშტაბითაც მოწყობილი აუცილებლად შეიცავს მრავალ საინტერესო მასალას, რომელიც ზრდის ადამიანის გონებრივ მარაგს.

როგორც დანამდვილებით ვიცით სახ. განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი სიმპატიურად შეხვდა აგრონომ-სტუდენტთა ამ მისწრაფებას და დახმარება აღუთქვა.

საჭიროა რომ მიწად-მოქმედების კომისარიატიც გამოეხმაუროს ხსენებულ საქმეს და ერთმანეთის დახმარებით შესძლონ იმ მუშაობის შესრულება რომელსაც სასოფლო-სამეურნეო და მაშასადამე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

გვწამს, რომ სტუდენტთა სურვილი ამ მოკლე დროში სინამდვილეთ იქცევა.

**ვ. ჯაში.**

# საუბარი გლეხთან

**3 ახალი მეურნეობა**

მესაქონლეობა უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დარგია სასოფლო-მეურნეობისა. საქონელი საჭიროა ჩვენთვის. 1) როგორც საუკეთესო მუშა ძალა და 2) როგორც ნედლი მასალა ჩვენი კვებისა და მრეწველობისა.

რაც უნდა ძალიან გამრავლდეს ჩვენში მანქანების ხმარება, საქონელი მაინც არ დაჰკარგავს თავის ღირებულებას და ამიტომ საჭიროა, რომ უდიდესი ყურადღება მივაქციოთ ამ საგანს. საქმე შემდეგშია: რომ სახსენებელიც აღარ იყოს ჩვენში მოუსავლობისა, უნდა ვისწავლოთ კარგი და დიდ „მოსავლის“ მიღება, ღამოუკიდებლად იმისა, „გვალვაა“ თუ „მავნე ნამი“, „ქარები“ თუ „გალხვობა“ თესლისა და სხვა მისთანა მავნეთა როგორ უნდა მივიღოთ კარგი და დიდი მოსავალი, ეს დიდი ხანია იცის ქვეყანამ და ის მეურნეობა, რომლებმაც იციან ეს და საქმეში იყენებენ, თავის დღეში არ იციან, რა არის მოუსავლობა და სიმშილი, მათ მარტო „მოსავალი“ იციან და სიმაძღრე—კმაყოფილება. აიღეთ მაგალითად, ევროპა-გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და სხვანი: იქ მხოლოდ მოსავალი იციან და, მერე, როგორი—ორასი და სამასი ფუთი ხორბალი და 500—3000 ფუთი თივა დესეტინაზედ! ეს ზღაპარი არ არის, ნამდვილი ცნობაა.

აიღეთ რუსეთის შარშანდელი მოუსავლობაც და შიმშილი: ისეთი საშინელი მოუსავლობა იყო, რომ მამა შვილს აღარ ინდობდა და შვილი დედას, ერთმანერთს სჭამდნენ. მაგრამ აი თვით ასეთი საშინელი მოუსავლობის დროსაც კი, მცოდნე ხალხს მაინც კარგი და დიდი მოსავალი მოუვიდათ ზედ იმათ გვერდით, ვისი უანებიც გვალვამ და უწვიმობამ მიწასთან გაასწორა...

აშკარაა, როგორც რუსეში იტყვიან, „საქმეს მცოდნისა ეშინიან. ჩვენში კი, პირიქით, მეურნეს ეშინიან საქმისა, ვერ მოჰრევია მას, ზარალობს, შიმშილით კვდება, კონკებში დადის..

ცხადია, რომ აუცილებლად საჭიროა ვისწავლოთ მეურნეობა და ისე ვაწარმოვოთ იგი, როგორც ნასწავლები აწარმოებენ. მაგრამ მარტო (ოდნაც არა კმარა: მეურნეს უნდა ჰქონდეს გუთნები, მანქანები, თესლი და სხვა. ამაებზე ზრუნვას მოწოდებულია სამიწად-მოქმედო კომისარიატი, იგი მოვალეა გამოიწეროს ადგილებიდამ ყოველგვარი იარაღი, თესლი და მიაწოდოს იგინი ხალხს. მოუწყობლობაც, თქმა არ უნდა, ძალიან გვიშლის ხელს ყველაფერში, მაგრამ ამასაც ხომ მარტო მაშინ დავძლევთ, როცა საკმაოდ გვექნება ჩვენთვის პური და საქონელისათვის თივა. როგორც იქნება და როგორც კი შეიძლება, უნდა ყველაფერი ავაფუტკნოთ, ავაგორ-დავაგოროთ და ასე იქნება თუ ისე, საქმეს კი გზა მივცეთ, სხვანაირად არ შეიძლება, რადგანაც უპუროდ და უთივოდ შეუძლებელია ცხოვრება, შეუძლებელია აღდგენა და აშენება ქვეყნისა..

წინა წერილებში მე უკვე აგიხსენით როგორ გამოვიყენოთ ვენახები, რომ ვენახებიც ფეხზე დავაყენოთ და თივაც ულეველი გვქონდეს. გადავიდეთ ახლა მინდვრებზე, მაგრამ ჯერ საქონელზე მოვათავოთ, თუმცა გრძელი კი იქნება ეს სიტყვა. პურისა და ქერის მომკის შემდეგ, ნაყანებში ჩვენში არაფერს სთესკვენ, ჩვენ კი ვსთქვით, რომ მიწაც, როგორც მანქანები, მუდმივ საქმეში და მოქმედებაში უნდა ვიქონიოთ-მეთქი. ამიტომ, მოათავოთ თუ არა ყანის მომკა და გამოზიდვა, შეიყვანეთ გუთანი, მოხანით 2—3 გოჯზე, გაფარცხეთ, მოთესეთ ჩვეულებრივზე უფრო სქლად სიმინდით, ისე რომ თითო მტკაველზე მოვიდეს თვითეული მცენარე და მაშინვე დაფარცხეთ რკინის ფარცხით გარდიგარდმო, რომ სახნავი კარგად გასწორდეს და თესლიც ღრმად ჩაიფლას. როცა სიმინდი ამოვიდეს და ცოცხი ამოიგდოს, დააცალეთ ერთს კვირას და გათიბეთ. გათიბული ბალახი გნებავთ გააშრეთ და თივის ძირებად დადგით, გნებავთ ერთს ორს დღეს მცირედ გააშრეთ და მწნილად ჩადეთ წინათვე ასე აშენებულს ორმოში: მოთხარედ მოგრძო ორმო, რომ სიგრძე და სიორმე გერჩიოთ, კედლები ამოუყვანეთ ქვითკირით, ისე რომ მიწის პირიდამ ნახევარი არშინი იყოს ამოწეული და წვიმის წყალი არ ჩადიოდეს, და მაგრათ ჩატენეთ ფეხებით ახლად გათიბული სიმინდი თუ სხვა მწვანე ბალახი, როგორც ვსთქვით, მცირედ შეხმობილი. მარილი არ უნდა. თავი ამოავსეთ ამავე ბალახით ერთ საჟენამდის სიმაღლით და დააცადეთ ორ-სამ დღეს: ბალახი დაიწევს ნასამედამდის და მაშინ კვლავ დატკეპნეთ კარგად, რომ ჩადებულს ბალახში არსაიდამ ჰაერი არ ჩავიდეს. გაავსეთ ასე ტკეპნით მთელი ორმო, წააფარეთ ნამჯა და წააყარეთ ერთ-ორ არშინამდის სიმაღლით მიწა. როცა ბალახი დაიდუღებს, მიიღებთ მშვენიერ მომყავო საკვებს, რომელსაც სიამოვნებით სჭამს საქონელი. ასე მომზადება საქონლის საკვებისა იმით არის კარგი, რომ ბალახს გახმობა არ უნდა და ორი-სამი წელიწადიც არ ფუჭდება. როცა ამოღება გინდოდეთ, გადათხარეთ რომელიმე მხრიდამ, საიდამაც უფრო გემარჯვებათ მიდგომა და ცულით თუ ცელით გამოსჭერით რამდენიც გენებოთ. ასე მოყვანილი სიმინდი იძლევა 3—4 ათას ფუთს საკვებს. ასე მოყვანილი სიმინდი შეიძლება ნედლადაც გაუთიბოთ და აჭამოთ რამდენიც გინდათ. სიმინდის გათიბვის და გამოზიდვის შემდეგ, მიწა კვლავ დაუყოვნებლივ მოხანით 2—3 ვერშოკზე და და დასტოვეთ ასე ზამთრის პურის დათესვამდე..

აი ორი საშუალება, რომლითაც ჩვენ სულ ადვილად შეგვიძლიან იმდენი საკვები მოვუმზადოთ ჩვენს საქონელს, რომ მთელს წელიწადს ეყოს. დანარჩენს მოგცემს პურისა, ქერისა, ფეტვისა და სიმინდის ბზე, ბურდო და ფუჩეჩი. გამაძღარი ჯანზე ნაყოლი საქონელი პირველი საშუალებაა, რომ შენც მარად საღად და გამაძღარი იყო, ჩემო ძმაო გლეხო, და ამიტომ უერთგულე ჩემს ნათქვამს, და ნარჩევს სისტემას ფართო გზა მიეც შენს მეურნეობაში!..

ბარემ რაკი საქონელზე ვლაპარაკობ, ყური დამიგდე იმაზედაც, თუ როგორც გავაუმჯობესოთ ჩვენი საქონელი და როგორ მოუაროთ და ვაჭამოთ მას.

**ივ. როსტომაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

# ჭორიანციაში

**ქ. ბორჯომი.** ამა წლის ხუთშაბათს 26 ივლისს ქ. ბორჯომის ბაღის საკონცერტო დარბაზში გამართული იყო ლიტერატურული დისპუტი „ქართველი ქალის“ გარშემო.

აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ ბრალმდებლებიდან მონაწილეობას მიიღებენ კ. კაპანელი და ი. ჩიქვანაიაო, მაგრამ როგორც საერთოდ სჩვევიათ ჩვენ ინტელიგენციის უმეტეს ნაწილს, (საერთო სენი!) ამ საღამოსაც დაპირება არ შეასრულეს და კაპანელი ვერ ვიხილეთ.

მომხსენებელი ი. ჩიქვანაია იყო სუსტი, ცდილობდა სხვა და სხვა გვარი ხრიკებით და ხუმრობით დაიმცირებინა ქართველი ქალი და ფაქტებზე ზე კი სრულებით არ მიუთითებდა. ის ამტკიცებდა, რომ ქართველი ქალის დამახასიათებელი თვისება მხოლოდ ამაზონობაა და ფუქსავატობაა. ქართველი ქალი არ ვარგა მეოჯახეთაო. ქართველი ქალი არ არის სექსუალურიო; ნამდვილი რომანი ქართველ ქალში არ არსებობსო და „არ რის მქონე, არ რის მცოდნე“ ინტელიგენცია მხოლოდ ქართველმა ქალმა გამოზარდაო.

ყველა ამას ის ლაპარაკობდა ზერელად და ფაქტები სრულებით არ მოჰყავდა. ერთგან ახსენა სასაცილო ფაქტი: „თინათინი ტარიელს ჰპირდებაო: როცა დაბრუნდები ბრძოლის ველიდან „კოკობი, გაუფურჩქვნელი“ დაგხვდებიო. რატომ იმას არ ჰპირდებაო, რომ ოჯახს აგიყვავებო? და სხვ.“ კარგი და დასაბუთებული პასუხი გასცა დავით კასრაძემ, რომელიც საზოგადოებამ დააჯილდოვა მხურვალე ტაშით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სერ. გერსამიამ, გერცელ ბაზოვმა, ციცქიშვილმა და სხვ.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს თემა ზოგიერთ ოპონენტებმა გააშაბლონეს და მასხარული ელფერი მისცეს.

ბორჯომის საზოგადოებისთვის უკეთესი იქნებოდა წაკითხულიყო მოხსენება მეცნიერულად დასაბუთებული ამავე აგარაკის ბუნებრივ სიმდიდრეების შესახებ.

**ალმოსავლეთელი.**

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთის რაიონის ეკონომიური მაჯის-ცემა, არასდროს არ ყოფილა ისე მოდუნებული, როგორც ამ წელში. საერთაშორისო ომის შედეგებმა, ეჭვს გარეშეა, ძლიერ დასწია უკან ეს რაიონი, მაგრამ ის გაჭირვება, რომელიც მას დღეს ადგია—არასდროს არ უნახავს.

ლანჩხუთის შემოსავალი, იყო სიმინდი. სიმინდს მართალია საზღვარ-გარეთ არ ჰქონია გასავალი, მაგრამ შინაური ბაზარი, გარე რაიონები, საკმარისი იყო სიმინდის რეალიზაციისათვის. დღეს კი სიმინდი ლპება. სიმინდის პატრონებს არც აქვთ ხალისი ის ბაზარზე გამოიტანონ, ვინაიდგან გამოტანის საფასურსაც ვერ იღებენ და არც არის ვინმე მყიდველი. არის მხოლოდ ერთად-ერთი კოოპერატივი, რომელიც 12 კაპეიკს იძლევა ფუთ სიმინდში, მაგრამ მთელი მოსავალის ყიდვას ის ვერ შესძლებს და რომ შესძლოს მასაც ეშინია დალპობის. ყოველივე ეს ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მცხოვრებლებს და გამოსავალი კი ამ მდგომარეობიდან ვერავის უპოვია, თუმცა შეიძლებოდა კიდეც ამ ჩიხიდან გამოსვლა სპირტის ქარხნის გახსნით მაინც. ვინაიდგან დღემდის ამაზე არავის უზრუნავს, საჭიროა ვისგანაც ჯერ არს ამ საქმეს მიექცეს ყურადღება.

მომავალ წლისათვის ლანჩხუთს უსათუოდ უნდა ექნეს სპირტის ქარხანა, რომ მომავალი წლების მოსავალიც არ დაიღუპოს ასე, როგორც დაიღუპა ამა წელს.

**ირაკლი.**

## რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) მცირე ეზოთია შემოსალტული, შიგნით ძალიან პატარა ბაღია, ისიც უსუფთაო!

პლეხანოვის ქუჩიდან შესავალში ფეხის ადგილი ისე უხეიროთ არის მოთავსებული, რომ უსუფთაობა გარდა ქვემო სართულისა—ზემო სართულის ჭირურგიულ განყოფილების ავადმყოფებსაც კი აწუხებს!..

ამ საავადმყოფოს, როგორც რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს. არც შენობა აქვს შესაფერი გარდა იმისა, რომ შენობა ძველი ყაიდისა არის და განყოფილებანი სხვა და სხვა ავადმყოფთათვის ცალ ცალკე არა აქვს, ნამეტნავად დაძველებულიც არის და შიგნით რომ შედიხართ შეამჩნევთ, რომ შენობა სერიოზულ შეკეთებას მოითხოვს.. შიგნით . განყოფილებებში და ფეხის ადგილებში სისუფთავე ვერ არის დაცული.

მთავარ საავადმყოფოსთვის მსახურთა შემადგენლობაც არ არის შესაფერი: ბევრ მათგანს ეტყობა ცუღლუტობა. მაგალითად ექიმი, ასისტენტი რომ ეუბნება მოწყალების დას—ამ ავადმყოფს ესა და ეს სჭირია, მოიტანეთ და გაუკეთეთო, მოწყალების და ბოდიშს იხდის უკაცრავად, მე წასვლას ვაპირებ, სხვას დაუბარებო. აქ, ასეთ ქცევაში არც საქმის სიყვარულია, არც ექიმის პატივისცემა და ავადმყოფის მოვლაზე ხომ ლაპარაკიც მეტია!... ყველასათვის ცხადია, რომ აპერაციის გაკეთებასთან თუ სხვა წამლობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა და ხშირად გადამჭრელი მნიშვნელობაც აქვს—მოვლას.

ავადმყოფისთვის ზოგიერთ მძიმე ავადმყოფობის დროს, ან აპერაციის შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს სველი ტილოთი პირისახის და თვალების მოწმენდას, აგრეთვე სველი ტილოს შუბლზე დაფენას, რასაც მოწყალების და თავისით იშვიათად თუ მოიგონებს.

მორიგე მსახურნი ქალებიც ხშირად ვერ იჩენენ ბეჯითობას...

უყვართ ჩხუბი და ერთმანეთის გინება; უსუფთაობა კი ფართოვდება და უფრო შეუპოვრად იკიდებს ფეხს!

უსუფთაობას ექიმებიც ამჩნევენ, მაგრამ მწუხარებით აღნიშნავენ—ვერაფერს გავხდებით; რომ ვინმეს შენიშნა მივსცეთ ან დასათხოვნათ წარვადგინოთ ადგილობრივი კომიტეტი ისევ ჩვენ გაგვამტყუვნებენო. უფლება არა გვაქვს და არც მოვალეობას ვკისრულობთო!..

როგორც ზემოდაც ვსთქვით წამლობა აღნიშნულ პირობებში მეტად ძნელი ხდება!

ასეთ პირობებში პასუხისმგებლობა ადგილობრივ კომიტეტზე გადადის, რომელმაც საავადმყოფოს გამგესთან ერთად სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს სისუფთავის დაცვისა და მოსამსახურეთა უფრო ბეჯითად ამუშავებაში...

არიან, რა თქმა უნდა, ისეთებიც, რომელნიც უეჭველათ თავის თანამდებობას შეფერის, ასეთები არიან და—ჭიაურელის ქალი, გაბუჩიასი და ერთიორი სხვაც.

მსახურ ქალებშიაც („სიდელკებს“ რომ ეძახიან) ძალიან ცოტანი არიან საქმის ერთგულნი—მათ შორის ქართველებიც... ამას აღვნიშნავთ იმიტომ, რომ წინად ამ თანამდებობაზე ქართველი ქალი არ მუშაობდა.

უკეთესი პატრონის ხელში გაცილებით მეტს გააკეთებენ.

რაიც შეეხება საავადმყოფოს მთავარ ღერძს-ექიმთა შემადგენლობას ყველა მათგანს ეტყობა დიდი სიბეჯითე და საქმის სიყვარული.

აქ ახდენენ ადამიანის სხეულის (და სხეულის სხვა და სხვა ნაწილების) უდიდეს და ურთულეს ოპერაციებს.

იარაღები კი, რთმლითაც განათლებულ კაცობრიობას თავი მოაქვს, ამ საავადმყოფოს ალბად ახალ ხილად მოევლინებოდა და ერთიანად გაუდვილებდა მუშაობას!

ასეთ, საავთმყოფოსათვის სხვა და სხვა საჭირო იარაღებსა და ნივთების შეძენა—უეჭველად მორიგი ამოცანა უნდა იყვეს ხელისუფლებისათვის.. ეს უპირველეს ყოვლისა, ხოლო საავადმყოფოს გაუმჯობესება ყოველმხრივი უნდა იყვეს!!.

—:—

აღსანიშნავია აგრეთვე. რომ წამლობის ღირებულება ავადმყოფებზე წესიერად არ არის განრიგებული...

საბჭოთა მოხელეს ახდევინებენ ჯამაგირის მესამედს იმ დროს, როდესაც კერძო პირნი თვეში მხოლოდ 9 მილიონ მანეთს იხდიან... კვების, განრიგებაც ვერ არის მიზან შეწონილი: დილით ადრე—ექვის ნახევარზე ავადმყოფები ჩაის იღებენ—რის შემდეგაც ნაშუადღევის სამ საათამდე მშიერი არიან (რა თქმა უნდა—ვისაც თავისი არა აქვს რა!).. სამი საათიდან კი: სადილის შემდეგ კიდევ ჩაის აძლევენ, ხოლო საღამოს შვიდი საათისთვის ვახშამს, ასე რომ—ავადმყოფი ნაშუადღევის სამი საათიდან დილის 5 საათამდე დაახლოვებით 15-ჯერ მეტ მეტ საჭმელს იღებს ვიდრე 5 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე, ეს კი ჩვენის აზრით—შეუფერებელი განაწილებაა.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ „გადასახადის საკითხი უნდა მოწესრიგდეს და კვებაც გაუმჯობესდეს..

ერთის სიტყვით: საავადმყოფოს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს!..

—:—

ყურადღება უნდა მიექცეს ზოგიერთ ავადმყოფთა თავგასულობას და უზდელობას. როგორც მომვლელს მოეთხოება ავადმყოფისადმი პატივისცემით მოპყრობა—ისევე ავადმყოფი პატივისცემითვე უნდა ეპყრობოდეს მომვლელებს!..

უდროვო დროს ყვირილი თუნდა სიმღერაც) და სხვა ავადმყოფების შეწუხება დაუშვებლად უნდა ჩაითვალის!..

ქვეშსაგებების უსუფთაობა კი ხელს მეტად უწყობს საერთო უსუფთაობას!

ამასთანავე დიასახლისებსა და დებს უნდა მოეთხოვოთ ქართული ენის პატივისცემა და საავადმყოფოს ქონებათა მეტი დაზოგვა.

დიასახლისებმა ქართულად გვარების ამოკითხვა მაინც უნდა ისწავლონ!

**სევ. ხიმშელი.**

## „ოკას“ მე-2 ოლიმპიადა

(დასასრული)

მეტად საინტერესო ფეხბურთი გაიმართა მე-21 სამხედრო სკოლის ეზოში „ვუზ“ის და ქართული დივიზიის განწვერებს შორის. ხალხი ბევრი დაესწრო და მეტად დაინტერესებულიც იყო, რადგან ორივე ძლიერ განწვერებად ითვლება. მაგრამ ერთი რამ ბადებს უიმედობას, რადგან შაბათს კასპიის ფლოტის განწვერთან შეჯიბრში მთავარ შუა მირბის ქართველი განწვერისა და საზოგადოთ ერთ საუკეთესო ტფილისის მობურთავეს ანდრო ჟორდანიას ფეხი დაუშავეს.

ზღვის ტალღებთან და წინააღმდეგობებთან გამოჩვეული ხარბი ხმელეთზედაც ისევე სასტიკად განაგრძობს ბრძოლას და სპორტის მაგიერ ხელჩართული გამოუდის; კვანტის გაკვრა, იდაყვის გარტყმა ჩვეულებრივი ხერხებია მეზღვაურებისა ფეხბურთში. ერთ ასეთ ხერხის დროს ფეხი კინაღამ მოსტეხა ძლიერმა მეზღვაურმა მანდარინას ოდენა „ანდროს“. საზოგადოთ ახალგაზრდა ფეხბურთელები ქართული დივიზიისა მაგრად არიან შენელრეული მეზღვაურების მიერ. მოწინააღმდეგე კი მხნედ გამოიყურება. ზორბა და ხნიერი მობურთავენი „ვუზ“-ის მხრივ კიდევ უფრო მეტს შანსებს იძლევა ქართული დივიზიის დამარცხებისა. „ვუზ“-ის განწვერში იმყოფებიან ისეთი მოთამაშენი, როგორიც არიან ხროვი, ძველი მოსკოველი პროფესიონალი მოთამაშე, (ერთ დროს „შევარდენში“ ეს სწვრთნიდა და მასვე გამოჰყავდა ასპარეზზე მოთამაშენი ისე, რომ მას ხშირად თავის მოწაფეებთან უხდება თამაში) კოლვიცი, ეს ძველი ტფილისელი პროფესიონალია, ძლიერი და გამოცდილი გარბი. ყავთ მათ აგრეთვე ფილიპოვი; სკოლის უფროსი ბიაჩიც თითონ იღებს მონაწილეობას თამაშში და ამხნევებს ისედაც თამამ მობურთავეებს. დასვენებულნი და გამოკვებილნი, ისინი იმდენად მისდევენ თამაშის ბუნებრივ მსვლელობას. თამაში იმ თავითვე ენერგიული შეტევებით იწყება, ეგრედ წოდებული „პრიჟიმარშჩიკები“ გულის ფანცქალით აწვებიან თავისიანების მხარესაკენ. შეტევას იწყებს ქართული განწვერი, ბურთი ხშირად გორავს მოწინააღმდეგის კარებთან, კუთხურები მრავლდება. ბრომოვი თავგამოდებით უტევს და ზოგიერთ შემთხვევაში მიაქვს ბურთი მოწინააღმდეგის კარებთან, მაგრან მტკიცედ სდგას თავის სადარაჯოზე კარგუშაგი. მარჯვე თვალები და მოქნილი მიმოხვრა შველის მას არ გაატაროს მოწინააღმდეგის ბურთი. საერთო აღშფოთებას იწვევს ორივე მხრის „პრიჟიმალშჩიკების“ მხრივ მსაჯი მერშოვის საქციელი. მან რამდენიმეჯერ გაუშვა „ვუზ“-ის „პენდელები“ და ამით საშუალება წაართვა ქართული დივიზიის განწვერს რამდენიმე ზედ მეტი ლელო აეღო. შუა თამაშის დროს ხდება ერთი ამაღელვებელი მოვლენა კიდევ. ბურთს მისდევს „ანდრო“; მას გამოუდგა ხრომოვი, რომელმაც მოინდომა ბურთის წართმევა, მაგრამ ფეხი გაუცდა და დაეცა. ეს მოხდა სხვათა შორის იქ, საცა მსაჯები ისხდნენ. თვალებ ასიორებელ კურსანტ მაღალაშვილს ისე მოსჩვენებოდა, თითქოს „ანდროს“ ფეხი დაედოს ბრომოვისათვის; მივარდა მაღალაშვილი ჟორდანიას ყელში და ხრჩობა დაუწყო. ჟორდანიას ხელიც არ შეუბრუნებია, თუმცა შეეძლო მაგრად მიეზილა თავხედი.

მაღალაშვილის უმგზავსმა საქციელმა ყველა ააღელვა და მოითხოვეს მისი თამაშობიდან გაძევება. ერთი ხელობა თითქმის გააძევეს კიდეც, მაგრამ შემდეგ „თავისიანებმა“ დაუშვეს კიდევ. თამაშს სიცოცხლე თან და [illegible] ხშირდება „ვუზ“-ის კარებთან. ამ დროს გააქვს ერთი ლელო. [illegible] გაბრაზებით იწყებს შ[illegible] სცილდება, ზოგი „სწორას წორობას“ კარგავს, მობურთავე ანტუსი ფეხებს ულებს და ყირა უშვებს მოწინააღმდეგებს. ერთხელობა მის გაძევებაც მოითხოვა საზოგადოებამ, მაგრამ მსაჯებმა ყური არ ათხოვეს.

ამ დროს „ვუზ“-ის მობურთავეს გააქვს ლელო. თანამგრძნობთა აპლოდისმენტები ამხნევებს მათ. მორალური „სასწორი“ „ვუზ“-ისკენ იხრება, ამას თან ერთვის ანდროს გამოსვლა თამაშიდან ფეხის ტკივილის გამო.

ეს გარემოება კიდევ უფრო ამხნევებს მოწინააღმდეგეს და მეორე ლელო გააქვს კულვიცს. თამაშის დრო იწყება და ქართული დივიზიის განწვერიც უკანასკნელ ძალებს იკრებს.

დავარდნილი ანდროც ძალას იკრებს და ეროვა თამაშში.

რეფერი შერშოვს ეს არ მოსწონს და უნდა არ დაუშვას იგი, მაგრამ მსაჯები და საზოგადოება უკანონოდ სთვლიან მის საქციელს და ანდროც იწყობს თამაშს.

ამ დროს უცაბედი „პენდელი“ ხდება „ვუზ“-ის კარებთან. ამით სარგებლობენ ქართული დივიზიის მობურთავენი და შეაქვთ მეორე წმინდა ლელო.

ამ გვარად კვირის შეჯიბრიც ორით ორზე გათავდა „ვუზ“-სა და ქართული დივიზიის შორის. და თამაშობა ორშაბათისათვის იქნა გადადებული. არსებითად ეს შეჯიბრი ქართული დივიზიის უნდა ყოფილიყო, მაგრამ „მიუდგომელმა“ რეფერიმ შერშოვმა ვერ დაინახა რამდენიმე პენდელი და ამით იხსნა „ვუზ“-ის განწვერი დამარცხებისაგან.

30 ორშაბათს გაგრძელება იყო კვირის შეჯიბრის.

აქაც „სხვა და სხვა საპატიო მიზეზების“ გამო ორად ორზე გათავდა თამაში. მიუხედავად იმისა, რომ ანდრო გამოაკლდა ქართულ განწვერს, ხოლო „ვუზ“-ს მიემატა ბიზის მაგიერ დიაჩკოვი. ამ შეჯიბრის რეფერი უეჭველად მეტს მიუდგომლობას იჩენდა, თუმცა შეღამებისას მასაც დასჩემდა „უკლონი“.

შეჯიბრი 31-ის დილისთვის გადაიდო. ორივე ხანგრძლივი შეჯიბრი უკოზიროდ ჩატარდა ქართული დივიზიის მიმართ.

საფიქრებელია, რომ მესამეც ესევე ჩატარდება და ერთხელაც არის მოიგებს „ვუზ“-ი.

ვნახოთ რამდენად გამართლდება ჩვენი იმედი.

**ხ. კ—ხი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


# გაცხადება

## ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის

## საარმენებლო კომიტეტი

**აცხადებს, რომ 1923 წლის აგვისტოს 10-ათვის დანიშნულია**

## შეჯიბრება

მე-3 პიკეტიდან მე-5 პიკეტამდე წყლის მიმყვან არხის გაყვანისათვის **კლდის ასაფეთქებელ სამუშაოს** ნაწილის გასაცემად, რაოდენობით, მაგალითად 1500 კუბ. საჟენისა. ინსტრუმენტები სამუშაოს ამღებისაა და ასაფეთქებელი მასალა კი საამშენებლო კომიტეტისა. სამუშაო უნდა დასრულდეს ორ თვე ნახევარში.

ვისაც სურს აიღოს აღნიშნული სამუშაო, უნდა შემოიტანოს წერილობითი განცხადება დაწესებული ფორმის ბლანკზედ დახურულ პაკეტში ზედწარწერით: „საამშენებლო კომიტეტის მუშაობის უფროსს, 1923 წლის აგვისტოს 10-ის შეჯიბრებისათვის“. ამ რიცხვებში მოხდება პაკეტების გახსნა.

ფასი უნდა იყოს განცხადებული ჩერვონცების მანეთებში. ანგარიშის გასწორება მოხდება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ქვითარის შედგენის დღის კურსით და თანახმად ტფილისის ბირჟის კურსის დამწესებელი კომისიის ცნობებისა.

განცხადებას თან უნდა ახლდეს ქვითარი, მაჩვენებელი, რომ საამშენებლო კომიტეტის სალაროში შეტანილია ბედ საიჯარო თანხის 5%.

ბე იმ პირებისა და ორგანიზაციების, რომელთაც არ მიეცემათ სამუშაო, უკანვე დაუბრუნდებათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

იმ პირებისა და ორგანიზაციების ბე კი, რომელთაც მიეცემათ სამუშაო, რჩება საამშენებლო კომიტეტის სალაროში და გადიდდება საერთო თანხის 10 პროცენტამდე იმ თანხებიდან 10 პროცენტის დაჭერით, რომელიც მიეცემა პირველ ხანებში საქმის ამღებს ნამუშევარის ასანაზღაურებლად და დაუბრუნდება სავსებით მხოლოდ აღებული სამუშაოს სრულიად დამთავრების შემდეგ.

საამშენებლო კომისია უფლებას იტოვებს მისცეს სამუშაო მაინცა და მაინც არა იმას, ვინც უმცირეს თანხას მოითხოვს, არამედ მიიღოს მხედველობაში აგრედვე უწინდელი მოქმედება საქმის აღების მსურველისა, მისი გამოცდილება და პირიანობა.

დაწვრილებითი პირობების და განცხადების ბლანკების გაცნობა და მიღება შეიძლება ზემო-ავჭალის საამშენებლო კომიტეტის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველდღე, 10-იდან 12 საათამდე. (ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა (ყოფილი ველიამინოვისა).

**შენიშვნა:** ბეს წინასწარ შეტანისაგან შესაძლოა განთავისუფლებულ იქნენ მხოლოთ მუშების და გლეხების არტელები, თუ ისინი კანონიერად გატარებულნი არიან რეგისტრაციაში შრომის სახალხო კომისარიატში და თუ წარმოადგენენ განცხადებასთან ერთად საათანადო მანდატს არტელის რწმუნებულის სახელზედ. ამ შემთხვევაში ბე შესდგება ათ-ათ პროცენტიანი გადარიცხვით არტელის გასასტუმრებელ თანხებიდან.

**ზემო-ავჭ. ჰიდრო-ელექტ. სადგურის საამშენებლო კომიტეტი.**

386—2—2